

**მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სოციალიზაციის გამოწვევები
საქართველოში, მინდობითი აღზრდის მაგალითზე**

მარიამ წიკლაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი,

ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარსა და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ წიკლაური

11.07.2020

სარჩევი

შესავალი.....	8
ადგილობრივი კონტექსტის მიმოხილვა.....	11
მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა	16
მინდობითი აღზრდა (შვილობილობა) – ძირითადი განმარტებები.....	16
მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული რეგულაციები სხვადასხვა ქვეყანაში	17
თანამედროვე მინდობითი აღზრდა - ტიპები და დიფერენციაცია	19
მინდობითი აღზრდის მიზანი და მიმღები მშობლების შერჩევის კრიტერიუმები	23
მინდობითი აღზრდის დაფინანსებისა და მშობლების დახმარების სისტემა.....	25
წარუმატებელი შვილობილობების მიზეზები	27
ზრუნვის სისტემიდან გამოსვლა	28
ემპირიული კვლევები მინდობით აღზრდის შესახებ.....	29
კვლევის მეთოდოლოგია	33
კვლევის მიზნები და ამოცანები	33
კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები	34
ინფორმატივის შერჩევა	36
კვლევის ეთიკა	37
კვლევის შედეგების ანალიზი	37
ინფორმაციის მოძიების და გადაწყვეტილების მიღების პროცესი	40
ოჯახის წევრებისა და ახლობლების დამოკიდებულება მინდობითი აღზრდის პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით	42
შვილობილის ადაპტაცია ოჯახთან.....	43
განსხვავებები მინდობით აღზრდაში მონაწილე მიმღებ მშობელთა ჯგუფებს შორის.....	47
მინდობითი აღზრდის დასასრული	49
შვილობილთა ინფორმირებულობა პროგრამაში მონაწილეობის შესახებ	51
მინდობით აღზრდელებსა და შვილობილებს შორის ურთიერთობა	52
შვილობილების ურთიერთობა ბიოლოგიურ ოჯახთან.....	53
შვილობილთა სამომავლო პერსპექტივები	56
ცხოვრების ისტორია	58
დასკვნა	63
გამოყენებული ლიტერატურა.....	65

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს მცდელობას, შეისწავლოს მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა სოციალიზაცია და პერსპექტივები. აღწეროს მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩართულ მიმღებ ოჯახთა ატიტუდები და პროგრამაში ჩართვის მოტივაციები, მნიშვნელოვანია ზრუნვის სისტემაში მყოფი მოზარდების აზრის სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად უწყობს პროგრამა ხელს ბავშვთა მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, მათ საზოგადოებაში იტეგრაციასა და სოციალიზაციას.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სოციალიზაციის გამოწვევების შესწავლა საქართველოში მინდობითი აღზრდის მაგალითზე. კერძოდ, კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩართულ შვილობილთა სოციალიზაცია, გამოწვევები და პერსპექტივები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეულ იქნა თვისებრივი მიდგომა. გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის რამდენიმე მეთოდი, კერძოდ, მეორადი წყაროების ანალიზი, ფოკუს-ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუები. ასევე, კვლევის ერთ-ერთი აღსანიშნავი ნაწილია საკუთარი გამოცდილების კომბინირება ფოკუს-ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების შედეგებთან/ანალიზთან, რამაც შესაძლებელი გახადა, ნათლად გამოკვეთილიყო გამოცდილების ის მახასიათებლები, რომლებიც მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩართული ბავშვებს და მათ მიმღებ ოჯახებს აქვთ.

ოჯახი და ოჯახურ გარემოში ცხოვრება დიდ როლს თამაშობს თითოეული მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩართულ აღსაზრდელისათვის. მიმღებ ოჯახში ხდება მათი სოციალიზაცია, მინდობითი აღსაზრდელები სწავლობენ მიმღები მშობლებისაგან/უფროსებისაგან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, ამით კი ხელს უწყობენ საზოგადოებაში არსებული რწმენების, ღირებულებებისა და ნორმების განმტკიცებას.

კვლევამ აჩვენა, რომ მინდობით აღზრდის პროგრამაში ჩართული რესპონდენტები კეთილგანწყობილნი არიან აღნიშნული პროგრამის მიმართ, თუმცა, ინტერვიუებიდან იკვეთება, თუ რამდენად ბუნდოვანია აღსაზრდელების მომავალი, მათი მზაობის საკითხი, ცხოვრების დამოუკიდებლად გაგრძელებასთან მიმართებით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მინდობითი აღზრდის პროგრამაში ჩართულ შვილობილებს, უმეტეს შემთხვევაში, საკმაოდ კარგი ურთიერთობა უყალიბდებათ მიმღები ოჯახის წევრებთან, რაც შეიძლება გადაიზარდოს რომელიმე ოჯახის წევრის მიმართ მიჯაჭვულობაში. ნაშრომში აღნიშნულია, რომ პროგრამის წარმატებულად განხორციელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტულ შემთხვევებთან ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბება, რაც ბავშვის ოჯახში განთავსების დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: მინდობით აღზრდა, სოციალიზაცია, ოჯახი, მიჯაჭვულობა

Abstract

The following research is an attempt to research socialization and perspectives of children involved in foster care. To describe attitudes and motivations of receiving families. It is very important to research the children involved in foster care program to analyze how the program helps them to be formed as independent individuals prepared for independent life and how the program leads their socialization and integration into the society.

Research goal is to research deprived childrens` socialization challenges in Georgia based on the example of foster care, namely the following research aims to research the socialization, challenges and perspectives of children involved in foster care program.

Qualitative reseach method has been adopted to achive research goals and objectives. Several forms of qualitative research methods have been used, namely analysis of secondary data, focus-groups, deep interviews. One of the most important methods is combination of personal experience with the the analysis of focus groups and deep interviews which allowed to highlight the charasteristics of foster families and children.

Family and living in a family environment are very important for each of the child involed in foster care program. Their socialization happens in receiving family, where they learn how to behave, living in a family helps them to realize belives, values and cultural norms of the society. The research showed that respondents involed in foster care program have positive attitude towards it, but the interviews also showed that the future of adoptive

children, their preparedness to live independently are very vague. The research showed that adoptive children have good relationships with receiving family members, which sometimes lead their attachment to any of the family members. The research highlights that it is very important to have an individual approach on every case to successfully implement the program, this approach has to be definitely used during the placement of a child in a particular family.

Key words: foster care, socialization, family, attachment